ISSN 0132-0319

# უშრომელი „მუშაობენ“

ოცდაოთხი
საათი
ლოთობენ და
მრუშობენ!..
აბა, რა ენაღვლებათ?!
ფულს ფანტავენ
უშრომელს!

როცა უნდათ,
დაკლავენ
მოზვერსა და
უშობელს!..
აბა, რა ენაღვლებათ?!
ფულს ფანტავენ უშრომელს!

ორმაგ, სამმაგ
ფასებში
შოულობენ
უშოვნელს!
აბა, რა ენაღვლებათ?!
ფულს ფანტავენ უშრომელს!

ჭკუა უნდა
ვასწავლოთ
ამ ფულოსან
ბიძიებს,
რადგან მათი ფულები
გაზრის დახლებს
გვიძვირებს!

ვინც ვერ არჩევს
თეთრს და შავს,
ნაშრომსა და
უშრომელს,
ამისთანა „მშრომელებს“
ოთხ კედელში „უშობენ“!

გურამ კლდიაშვილი

ნახ. ბ. დეისაძისა

— სახლი კი მშვენიერი აგიშენებია!..
— ახლა არ დამიწყო, საიდან, როგორ და რა სახსრებით ააშენეო?!

ნახ. ბ. აბაშიძისა

— აბა, რა ეგონათ?! დირექტორობიდან რომ მომხსნეს, შიმშილით მოვკვდებოდი?!

ნიანგი

ოქტომბერი

№ 20 1986 წ.

# ჟღერა ოსტაპ ბენდერის რეკორდზე

**ფელეტონი**

**უკიდეგანოა** ფიზკულტურისა და სპორტის შესაძლებლობანი! მათზე კარგის მეტი რა გვეთქმის! სპორტსმენებიც ხომ ძალ-ღონეს არ იშურებენ გულშემატკივართა გულის მოსაგებად! წარმოუდგენლად მცირდება მანძილის გარბენის ან გაცურვის დრო, სულ მაღლა მიიწევს თამასა, მძიმდება შტანგა და ვითარდება ჭიდაობა თუ კრივი!.. ერთი სიტყვით, სულ უფრო ფართოვდება ახალი გზებისა და მეთოდების ძიება!

ეძიებდე და ჰპოვებდეო!

მართლაც, რას არ მისწვდება მაძიებელი კაცის ალღო და გეში, მით უმეტეს, თუ ამგვარი სწრაფვა რეკორდის მოხსნის დაუოკებელი ჟინითაა ნაკარნახევი!

**ფიზკულტურისა და სპორტის მახარაძელმა** მესვეურებმა, მაგალითად, ილფისა და პეტროვის ცნობილი პერსონაჟის — ოსტაპ ბენდერის რეკორდის მოხსნა განიზრახეს!..

პატივცემულმა მკითხველმა შეიძლება შეგვნიშნოს: ემანდ, ამხანაგო, მთლად რიგზე ვერ უნდა იყოს საქმე! აბა, ის ბედნავსი ოსტაპ ბენდერი სპორტის რომელ სახეობაში გამოდიოდა, რომ რეკორდი დაემყარებინაო?! ჩვენც მანდა ვართ: სახეობაში კი არა, უსახობასა და უცხვირპირობაში დაადგო ცოდვილმა ოსტატმა საჯილდაო ქვა, გახსოვთ, როგორი სიამაყით ბრძანებდა უიღბლო ოსტაპი, ფულის შოვნის შვიდასამდე ხერხი ვიციო! ჭეშმარიტად რომ ძალა შესწევდა ქადილისა, ჰოდა, საქმეში ჩახედულმა პირებმა, რომელთაც მახარაძის რაიონის სპორტული დროშის მაღლა აწევა ევალებოდათ, ვერ მოითმინეს ვიღაც ბენდერის რეკორდის არსებობა.

რეკორდზე შემტევთა დამფუძნებელი კრება მიახლოებით ამგვარი შინაარსისა იყო:

— სპორტული ინვენტარისთვის გადარიცხული თანხა და მაღაზიაში დატოვებული ამ ინვენტარის გაიმასჭნების შემდეგ ფული... ფული... ქულა?..

— ერთი!

— სპორტსმენთა კვების ტალონების... ისა?..

— ორი!

— შეჯიბრებებზე გაუმგზავრებელთა ხარჯები?..

— სამი!

— ასე როდის გადავცდებით შვიდასს?! — გაწყრა კრების რომელიღაც მონაწილე.

— აბა, კაცო?! რა მადა ჰქონია იმ უპატრონო ბენდერს, შვიდასიო, გაგიგონიათ?!.

— სიძნელესთან შერკინებას სიდინჯე ამშვენებს ამხანაგებო, — ეს ბრძნული შეგონება **რაიონის სპორტკომიტეტის თავკაცს ო. კიშინსკის** ეკუთვნოდა.

— მართლაც, — ბანი შეაწიეს უფროსს, — არის რეზერვები!.. მაგალითად, არარსებული ჯგუფების... მათი მწვრთნელების ხელფასი... ქულაა ესეც! აქეთ კიდევ ორმაგი, სამმაგი, ხუთმაგი და ასე შემდეგ შეთავსებები!.. ფული არ არის ეს?

— შვიდასი მაინც ძნელად დასაძლევი ზღუდეა! — დაფიქრებით განაცხადა **ო. კიშინსკიმ** და ძირითადთან შეთავსებისანად საკუთარი ხელფასი 282 მან. და 60კაპ. დამორცხვებულად დაწერა ქაღალდზე.

უფროსისა კი ერიდებოდა, მაგრამ შეჯიბრება შეჯიბრებაა და **სპორტკომიტეტის პარტბიუროს მდივანმა შ. ანდღულაძემ** აქეთურ-იქეთურიან, ამიან-იმიანად 362 მან. 33 კაპ. ქულა გადმოისროლა. რაღაც 210 და 260 ქულა შეაკოწიწეს **მეთოდისტმა არო შიძემ** და **განათლების განყოფილების სპორტსკოლის დირექტორმა შ. კიღურაძემ**, ხოლო **სპორტკომიტეტის კომკავშირულმა ლიდერმა რ. მუჯირმა** 230 ქულას მიაღწია.

დამფუძნებელი კრების შემდეგ თამაშმა აზარტული ხასიათი მიიღო და მაჩვენებლებიც ერთიორად გაიზარდა.

სანუკვარ მიზანთან შედარებით ახლოს მივიდნენ **ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დირექტორი ა. ზაქარიაძე** (327,60), **განათლების განყოფილების სპორტსკოლის დირექტორის მოადგილე ს. ქარჩილაძე** (545,33), **ნ. ს. ს. „სპარტაკის“ თავმჯდომარე გ. ერქომაიშვილი** (406,88), **„განთიადის“ თავმჯდომარე ა. ლომაძე** (411,17).

რაკი რეკორდით დაინტერესებულმა პირებმა იგრძნეს, რომ ოსტაპ ბენდერს ასე იოლად ვერ დასცემდნენ ძირს, ტალანტების გამოვლინების მიზნით ფართოდ გავიდნენ მასებში და სოფლებში მყოფი ძალები ჩააბეს შეჯიბრებაში. თუმცა რა გამოვიდა? — **ლაი თურის მეურნეობა-ტექნიკუმის ფიზსაბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ბ ვ ა ჯალაძემ** უმნიშვნელო შედეგი (349) აჩვენა, **ჭანეთის კოლმეურნეობის მეთოდისტმა ვ. შ ა ვ ი შ ვ ი ლ მ ა** კი სულ რაღაც 9,80-ით გააუმჯობესა ეს მიღწევა. კვალში მიჰყვებოდნენ ერთმანეთს **მაკვანეთელი მეთოდისტი ბ. კ უ პ რ ა ძ ე** (345,96) და **№ 4 საშუალო სკოლის მასწავლებელი რ. ც ე რ ც ვ ა ძ ე** (312,44). შეჯიბრების მრუდი საგრძნობლად მაღლა ასწია **ნასაკირალის საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. გ ო გ უ ა ძ ე მ** (435,96).

— რა არ გავაკეთეთ, — განაცხადა შეჯიბრების მთავარმა ორგანიზატორმა და სულისჩამდგმელმა **ო. კ ი შ ი ნ ს კ ი**ემ, — შეთავსებაო, მიწერაო, წამატებაო, მერე და რა?.. სად არის სანუკვარი შედეგი? ასე თუ ისე დაუახლოვდნენ მიზანს მხოლოდ **განათლების განყოფილების სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ს. ქ ა რ ჩ ი ლ ა ძ ე** (545,33) და მისი ხელქვეითი **დ. დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი** (603). რა არის ეს?! ასეთ მაჩვენებლებს ხომ უბრალო მებუფეტი ან დამზადების პუნქტის მუშაკიც არ დასჯერდება?!

— არაოფიციალურია, ჰო, უმრომელი შემოსავალია!..

— არ ითვლება, ბატონო, ეს უშრომელ შემოსავლად და მოვიკლათ თავი?

— შრომა და ათასი ნემსის ყუნწში გაძრომა იმ უშრომელს სჭირდება, თორემ ხელფასს რომ ტყუილად ვღებულობ, ჩვენი სპორტული ჯგუფების არარსებულმა ბავშვებმაც კარგად იციან. ის კი არა, ხელფასიდანაც არ ვიხდით პარტიის საწევროს!..

— სუ, კაცო!..

— სუ კი არა, სადაა **ი. ს ა ლ უ ქ ვ ა ძ ი ს** აღსაზრდელი ჩოგბურთის ჯგუფი? მხოლოდ ქაღალდზე, ხომ? რამდენი ასეთი ჯგუფია რაიონში, ან ის რა არის, სპორტსკოლის არსებობას „სრულიად საიდუმლოს“ გრიფით რომ ვინახავდით და შეჯიბრებებშიც არ ვმონაწილეობდით? ეს იქით იყოს და, ნ. ს. ს. „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს **ა. ჩ ხ ა ი ძ ე ს** საშუალო განათლების მეტი...

— კარგით ახლა, ბარემ ისიც თქვით, თხინვალში პროფტექგანათლებით რომ გვიზის მეთოდისტი! რა ვქნათ ახლა, ვიკამათოთ და ვიდავოთ, თუ გავაგრძელოთ შეტევა რეკორდზე?

ეს ბოლო კითხვა ჰაერშია გამოკიდებული, რადგან მასზე პასუხის გაცემის მსურველებს სულ სხვაგან აგებინეს პასუხი!

ოსტაპ ბენდერის რეკორდი კი კვლავ მოუხსნელი დარჩა!..

**დ. ჭალელი**

## ყ უ რ მ ო კ რ უ ლ ი

— თქვენმა ვაუმა ჩემი ქალიშვილი გაიტაცა!

— რომელმა ვიჩივლოთ?

* * *

— ეს კაბა ამერიკულია, ეკა?

— სოფლიდან ტომარა წამოვიღე და ბოლო შევაჭერი, ქეთი!

* * *

— რა სახსრებით იყიდა თინიკომ „ყიგული“?

— ალიმენტებით!

* * *

— თქვენ რომ თუთიყუში მომყიდეთ, ლოთი გამოდგა!

— როგორ თუ ლოთი?!

— მთელ დღეს ერთსა და იმავეს გაიძახის: „მოდი, ამ ჭიქით ჩვენ გაგვიმარჯოს!“

* * *

— უკაცრავად, დირექტორი დღეს მთხოვნელებს იღებს?

— დირექტორი ყოველდღე იღებს, გენაცვალე!..

**მურმან მერკვილიშვილი**

უსიტყვოდ




ფელეტონი

**გამიგონია,** ბედნიერი ადამიანები საათზე არ იყურებიანო. დღე-ღამეში სამათეულჯერ მაინც შევხედავ მაჯის ან ქალაქში აქა-იქ გამართულ ელექტროსაათს და მაინც არავითარი უფლება არა მაქვს ვთქვა, გნებავთ, გავიფიქრო, უბედური ვარ-მეთქი!

**თბილისში, მეტროპოლიტენის სადგურ „ელექტროდეპოსთან“** ხალხმრავალი სატრანსპორტო კვანძია. აქ არის 201, 202, 203, 204 საავტობუსო მარშრუტების, აგრეთვე სამარშრუტო ტაქსების საწყისი გაჩერება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მარშრუტების „რაფისა“ და „იკარუსის“ კომფორტული მანქანები ურიგოდ არ მუშაობენ, პიკის საათებში აქ ასობით მგზავრი იყრის თავს, არც ისე იშვიათად იმართება სოლიდური რიგები. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანებს ნაფიქრ-ნაზრევის გაზიარებისათვის საკმაო დრო აქვთ.

**გაჩერებათა პირდაპირ, ბეტონის დიდი ფილებისაგან ნაგებ ასოოდე მეტრი სიგრძისა და თორმეტიოდე მეტრი სიმაღლის დიდრონ კედელზე, ვეება ელექტროსაათი ჰკიდია. ორ წელზე მეტია, მისი ისარი არ განძრეულა, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს უჩვენებს!..** უყურებენ მგზავრები მკვდარ საათს და გაოცებას ვერ მალავენ: თუ არ მომართავდნენ, რატომ ჩემოკიდეს, საათი სამკაული ხომ არ არისო?! ერთმა მგზავრმა ისიც იკითხა გაკვირვებით, ამ საათს პატრონი არა ჰყავს? ნუთუ ქალაქის სასაათო მეურნეობის მესვეურებამდე ჯერ არ მიუღწევია გარდაქმნის სიოს, რომელიც ასე ძალუმად ქრის მთელს ქვეყანაში? სხვა რომ არა იყოს რა, მისი შეხედვა უსიცოცხლობის უსიამო გრძნობას იწვევსო!

— რა გიკვირს, ჩემო ძმაო, საათს კი არა, სხვა რამესაც არა ჰყავს პატრონი! — მიუგო ერთმა წოწოლა კაცმა და ირონიულად ჩაიქირქილა.

— ისე, ეტყობა, ის საათი იმ საწარმოსი არ უნდა იყოს, რომლის ეზოს უკან საწყობის კედელზე კიდია. როდის იყო, ადამიანები ქვედა კიდურზე, ფეხის კოჭზე იკეთებდნენ საათს? — მრავალმნიშვნელოვნად დაასკვნა მესამემ.

— თქვენ გარდაქმნაზე ბრძანებთ. რომ ვაკვირდები, საზოგადოების საკმაო ნაწილს გარდაქმნაზე არც კი უფიქრია, ბევრს სჭირდება გამოფხიზლება! — ჩაერია საუბარში ღიპიანი მოქალაქე.

ვისმენდი ამას და ვფიქრობდი: აი, რამდენ ასოციაციას იწვევს ქალაქის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს ადგილზე ჩამოკიდებული მკვდარი საათი. უნებურად დამებადა აზრიც — ნუთუ ეს ჰქონდათ მიზნად მის ჩამომკიდებლებს? თუ ასეა, მაშინ ეს ქვეყნის ზნისა და ხასიათისაგან განდგომას ნიშნავს!

ზალვა ჯულუა



**კაცს გაუვარდა სახელი,**
**გარს ბიჭბუჭები ეხვია.**
**ამბობდნენ გულდაჯერებით:**
**„კაცი კი არა, მეხია!“**
**ზოგან თუ უთამადია,**
**ზოგანაც უქელეხია,**
**ზოგან რა უჩალიჩია,**
**ზოგან რა დაუკვეხნია.**
**ფერი და მადა კარგი აქვს,**
**ხორციც საკმაოდ შესხმია.**
**ან ფულის კაცის შვილია,**
**ან — დიდი კაცის სეხნია.**
**არასდროს უმსახურია,**
**არც მტრები აუჩეხია,**
**არც ხელოსანი ყოფილა,**
**არც მუშა, არცა გლეხია,**
**არცა სწავლული — წიგნებზე**




**ღამე არ გაუტეხია.**
**აღარც სიმღერას შებმია —**
**მრავალხმიანს თუ ერთხმიანს.**
**არ მოუვლია სამშობლოს**
**მთა, უფსკრული თუ ეხია,**
**ურო არ გაუტყორცნია,**
**ულო არ დაუგრეხია.**
**არც ხელოვანის ნიჭი აქვს,**
**არც მოჭიდავის ხერხია.**
**არც ნაწვერალი უნახავს,**
**არც ნაძირალას შეხლია.**
**არც ერის ტვირთი იტვირთა,**
**არცა — ოჯახის კეხია.**
**არც ვალი გადაუხდია,**
**არც გაუცია სესხია!..**
**სიმართლე რომ ვთქვათ, ასეთი**
**უქნარა, ქუჩახეხია,**
**კაცადაც კაცი არ არის, —**
**მოსიარულე ძეხვია!**

**აპოლონ ბასილაია**

## ფილოსოფიზმები

● **ყოგჯერ** რიხიანად ნათქვამი ტყუილი უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე ჩურჩულით ნათქვამი სიმართლე.

● **იცოდე** შენი ადგილი და მოცილეები არ გაგიჩნდება!

● **ადგილი** არა მარტო ამშვენებს ადამიანს, არამედ ავლენს კიდეც.

**სულხან ჯორჯანელი**



ნახ. ზ. ლეონიძისა

— უალკოჰოლო ქორწილში წახვედი და მაინც მთვრალი დაბრუნდი?!

# ნაკვეთები

● **საავადმყოფოს** კარისკაცს უჯიბო ხალათი შესთავაზეს და კინაღამ თავი მოიკლა. — ხელი როგორღა მოვითბოო?!

● **გამომძალველი** გინეკოლოგი უამრავი ბავშვის ჩასახვაზე კი ოცნებობდა, მაგრამ ერის გამრავლება ფიქრადაც არ მოსვლია.

● **სახელმწიფო** ბეღელმა დაიჩივლა: დროის გამფლანგველები მხოლოდ საკუთარ სიცოცხლეს რომ ფლანგავდნენ, უფრო ღონიერი ვიქნებოდიო.

● **რევიზიამ** წარმოებას მკვდარ სულად არ ჩაუთვალა მოსამსახურე, რომელიც კაბინეტში თვლემდა, — ჯერ ხომ ცოცხალიაო?!

● **ახალგაზრდობა** თუმც ქეიფში გაატარა, მოხუცებულობაში მაინც უქეიფობა დასჩემდა.

● **თამგაქო** ტრაბახობდა: ჩემს მწეველს წუთით ვაწყნარებ და წლობით ვამწარებო!

ფრიდონ სომხიშვილი

## გარითმული ნაპიკურტები

**არავითარი კარგი ერისთვის**
**არ მოაქვთ ხოლმე კარიერისტებს!**

—:—

**აბა, რა უნდა მჯეროდეს შენი?! —**
**გულით კი არა — საუბრობ ენით!**

—:—

**უფროსი რომ დალანდა,**
**სახე მყისვე გარანდა!**

—:—

**სინდის-ნამუსის**
**ვხედავ ნამუსრევს!**

—:—

**ბევრი წერა იპოლიტემ —**
**ვერ გახდა იპოლიტ ტენი!**

**რომ წაეკითხა არისტოტელე,**

**არ აიკლებდა არისტო ტელეს!**

—:—

**ეგ ისეთი პოეტია —**
**დიეტაზე დაეტიოს!**

ელდარ კერძევაძე

## ისე კი არა...

ისე კი არა, გულხარბი სხვის მხრებით წევდე მძიმე ტვირთს,
შენს ჯიბეს უფრთხილდებოდე, სულ სხვების ჯიბის იმედით;
ისე კი არა, შურით რომ არ გსურდეს არვის დანდობა,
პირფერობისთვის უფროსმა გამოგიცხადოს მადლობა,
ისე კი არა, მეგობარს ზურგს უკან კვანტი გამოკრა,
და თუ დაეცა, ქირქილით თქვა: „ამ ურჯულოს რა მოკლავს?!“
ისე კი არა, სოფელში იყო და არცა იყო რა,
იწვი სირცხვილის წუმპეში, როგორც ტალახში ნიკორა;
ისე კი არა, ქელეხში ყირაზე გადადიოდე,
მკვდარი ფეხებზე გეკიდოს, შენთვის მზე ამოდიოდეს;
ისე კი არა, ენაბლუს თავი მოგქონდეს ბულბულად,
მდინარე ღელედ მიგაჩნდეს, ზღვა კი — პატარა გუბურად;
ისე კი არა, ქურდობდე და სხვას სწამებდე ქურდობას,
და მელასავით მალავდე შენსავე მელაკუდობას;
ისე კი არა, მტყუანს და მართალს ვერ დებდე სამართალს,
მუშაკაცს მანეთს აძლევდე, შენ კი იღებდე სამ ათასს;
ისე კი არა, ყურმოკრულ ამბავს ბუშტივით ბერავდე,
გამრჯე შიმშილით კვდებოდეს, შენ სავსე იყო ყელამდე;
ისე კი არა, უფულოს სულს ამოხდიდე ავადმყოფს, —
თუ ჯიბე ცარიელი გაქვს, რატომ გახდიო ავადო?!
ისე კი არა, თავმდაბალს ხმამაღლა ელაპარაკო,
სხვას უყვებოდე არაკებს შენ, თვით საიგავარაკო;
ისე კი არა, ჭირივით გეზარებოდეს მართალი,
ცუდ კაცს მალამოდ დაედო, კარგს კი ჩაუქრო შანდალი;
ისე კი არა, უფროსის შიშით სულ ხოხვით იარო,
თუ კარგი რამე იცოდე, არავის გაუზიარო;
ისე კი არა, გამტყუნდე და მაინც იდგე უარზე,
ან რაც ენაზე მოგადგეს, ილაპარაკო უაზროდ;
ისე კი არა, ქალაქში გქონდეს სასახლე ქვითკირის,
ვინმემ რომ გკითხოს — „საიდან?!“ — აფეთქდე, როგორც „ფიტილი“;

ისე კი არა, ფულისთვის კაცი კაპიკზე გაცვალო
და ასე გამდიდრებულმა ეძახო: მე ვარ, რაც ვარო, —
არამედ ისე იარე, ვერ დაგამარცხონ ადვილად,
თორემ ასიც არ მეყოფა შენისთანები სადილად!

ევგენი ბართაია

ნახ. ი. ყეინაშვილისა

**უსიტყვოდ**

# ნარკვევი

## ფრაზები

● **მანამ** წერა ვიდეოს ავ-კარგზე, ვიდრე აღებული ჰონორარით ვიდეო არ შეიძინა.
● **უყვარდა,** როცა აქებდნენ, მაგრამ ერთთავად დამწუხრებული იყო, რადგან მუდამ თვითმომსახურება უხდებოდა.
● **ბავშვობიდანვე** აფრთხობდა გაურკვევლობა, ამიტომ ყველა საქმეს ბოლოდან იწყებდა.

**ნუგზარ ბარდაველიძე**

## გადაკეთებული სტრიქონები

● **კატა** ვერ შესწვდა ძეხვსაო, „თევზის დღე" არის დღესაო.
● **ქურდს** — ქუდი... ბეწვის.
● **სამი** გაფრვნით სჯობია გულად ვაჟკაცსა მშოვნელი.

**ოტო ტონია**

## ნაკვესები

● **ენის** მიმტანმა დაიტრაბახა: ვინც ჩემი დაიჯერა, ყველა დამარცხდაო!
● **გლდანის** რაიონის მერვე მიკრორაიონში ელექტროენერგიის პერიოდულად გამორთვისათვის ქურდები დიდ მადლობას უხდიან „თელასის" მუშაკებს!
● **ჭორიკანამ** დაიტრაბახა: კოლექტივში არაჯანსაღი კლიმატის შექმნაში მეც დიდი წვლილი მიმიძღვისო.

**გივი კილაძე**

ნახ. შ. ლელაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონო გაიოზ, მამაჩემმა ბეკინამ შემოგითვალათ, მაშვლები მეწვივნენ და „სამანიშვილის დედინაცვლის" ვიდეოკასეტა გამომიგზავნეო!

# კონსილიუმში

**ზაფხულის** ჩვეულებრივ ცხელ ღღეს ჩვეულებრივი ბაზრის ჩვეულებრივ ორომტრიალში ჩვეულებრივი სიძვირის კლანჭებს ძლივს გამოვგლიჯე ერთი ჩვეულებრივი საზამთრო — გარეგნულად შავი, მზით გარუჯული, ჩამწიფებულ-ჩაშაქრულის შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა.

შინ მიტანისას ჩვეულებრივი სამზარეულო დანით დავჭერით, დავაჭაშნიკეთ და არაჩვეულებრივმა ფერმა გადაგვკრა სახეზე!..

სულ მალე მთელ ოჯახს — დიდსა და პატარას — მუცლები ხელით გვეჭირა, ოღონდ არა სიცილისაგან. თვალებზე ცრემლი გვადგა და არც ეს იყო აღტყინებით მოგვრილი.

ჩვეულებრივი საზამთრო უჩვეულოდ გვგლეჯდა საყლაპავს, კუჭს, ნაწლავებს, სიმწარის ოფლს გვადენდა!..

ატყდა ერთი წივილ-კივილი და გარბენ-გამორბენა!..

„სასწრაფოს" მოსვლამდე მეზობლებმა მოიყარეს თავი, მაგრამ ჩვენთვის ზედაც არავის შემოუხედავს, გაფატრული საზამთროს ირგვლივ შეკრეს წრე და კონსილიუმი გამართეს. ჯერ დაყნოსეს, მერე მის გარდამავალ ფერებზე იმსჯელეს, მაგრამ საერთო დასკვნამდე ვერასგზით ვერ მივიდნენ.

— წყალმანკი ჰქონია! — თქვა ერთმა.

— სასუქიანი წყალმანკი! — შეუსწორა მეორემ.

— რა დროს მაგისი სასუქიანი წყალმანკი იყო, ჯერ კბილები არ ამოსვლია! — ამოიოხრა მესამემ და საზამთროს რბილობში წვრილი თესლები მოქექა.

კონსილიუმის წევრები სასოწარკვეთილი მიაჩერდნენ უხუცეს მეზობელს, რომელსაც ბაზარში სიარულის მწარე გამოცდილება ჰქონდა. მას დიდხანს არ უფიქრია.

— ამის გაჩენა-გასივება-ძალით დამწიფებაში ღმერთი არ ურევია... და საამისოდ არც კაცი გარჯილა!..

— აბა რა?! — აღმოხდათ კონსილიუმის წევრებს.

— პენიცილინ-სუპერფოსფატ-კალიუმ-გვარჯილა! — აღმოხდა უხუცესს და ოთახიდან ყველანი ერთდროულად გაიკრიფნენ.

გვერდიგვერდ ვეყარეთ ნახევრადშეუჭმელი საზამთრო და მისი გულწასული ვერშემჭმელები.

საზამთრო — დიაგნოზით, ჩვენ — უდიაგნოზოდ, რადგან „სასწრაფო" ჩვეულებრივ აგვიანებდა!..

**ელგუჯა მერაბიშვილი**

## როცა ჩაქრება უბნებში...

**პაროდია**

როცა ჩაქრება სინათლე,
სიმშვიდე არ გვაქვს ბინებში
და სიბნელეში დავეძებთ
ცოლსა და შვილებს თხრილებში!..
არის ასეთი ლეგენდაც, —
ვინ და როდის თქვა, ვინ იცის, —
ხანდახან უწყლოდ იხრჩობა
გარეუბნები თბილისის!..
ჰოდა, იმასაც ამბობენ,
რატომ ხდებაო თბილისში,
რომ გაყინულებს ზამთარში,
გათბობა მოგვცეს ივლისში!..
კვლავ სარდაფებში წყალი დგას,
ამ დღეში ჩვენ ვართ მარტონი?
საცაა ჩავიძირებით,
არავინ არ ჩანს პატრონი!..
მაისის თვეში მესტუმრა
ჩემი ძვირფასი სიდედრი,
კორპუსთან ისე მოცურდა,
არ დაუკარგავს იმედი!..
ვუმზერდი სიდედრს, დაბღვერილს,
არ მასვენებდნენ ფიქრები,
რომ მოუძღოდა ესკორტი
ჩასუქებული ვირთხების!..
მლანძღა და მთათხა, შემდეგ კი
მითხრა: „ჩამხრჩვალხარ ტალახში-
დღეიდან ჩემი შვილიკო
გადმოვა ჩემთან, ქალაქში!"
როცა ჩაქრება უბნებში
ლამპიონების ნათება,
მაშინვე ძველი ლამპები,
ჭრაქებიც მოგვენატრება!

**ივანე ოსეფაიშვილი**

# მორის ფოცხიშვილი * ანიმალისტური სიმღერები

## ᲘᲛᲔᲓᲓᲐᲪᲐᲠᲔᲑᲐ

მოვტყუებულვარ, —
ᲐᲮᲠᲐᲠ ᲬᲘᲜᲐ
მწარე სინანულით გაპობილა, —
მგელი რომ მგელი მეგონა,
უბრალოდ ძაღლიც არ ყოფილა!

მოვტყუებულვარ, —
ᲠᲣᲯᲐ ᲬᲘᲜᲐ
ლომე-ყორეებად დაყოფილა, —
კაცი კახპერი მეგონა,
უბრალოდ კაციც არ ყოფილა!

უზაკული და უკმაყოფილო
ვხედავ, იზმორება კმაყოფილად,—
ღმერთთან მებრძოლი იაკობი
ღმერთთან ბრძოლის ღირსი
არ ყოფილა!

სული გრიშებად გაუფლანგავს,
ტანტზე ნებივრად განწყობილა, —
რასან ქართველობა დაუკარგავს,
ალბათ ქართველი არ ყოფილა!

მოვტყუებულვარ, —
ᲠᲝᲘᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ,
უცხო პანდურაზე აწყობილა,
კოსტაგოროზე კი არა,
უბრალოდ ბამზე კი არ ყოფილა!

ტრაბახით თავი წაუგია,
არც რა შეხებია დანარნენი,
სულაც ვერაფერი გაუგია
დედაბაქართველოს აღმფრენის!

* * *

რუსთაველზე უკვე გაჩნდნენ
იები
ᲙᲝᲯᲠᲔᲚᲘ და შინდისელი ძიები.

ნაკვერჩხლებად გაბრწყინებულ
თვალებით
ᲪᲘᲪᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲯᲕᲚᲔᲑᲘᲗ
ᲥᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲤᲐᲠᲨᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲠᲤᲔᲑᲘ/ და ᲞᲐᲯᲔᲚᲔᲑᲘ,
შინდა, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠᲫᲘᲡ ᲕᲔᲠ
ᲕᲔᲛᲨᲕᲔᲚᲔᲑᲘ.

ᲔᲡ ᲠᲐ ᲛᲔᲜᲐ, ᲗᲥᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ
დიდსულო?! —
ᲬᲔᲛᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲗᲘ ᲬᲔᲛᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ
ᲧᲣᲘᲓᲔᲣᲚᲝᲑᲘ!

## ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

როგორაც უნდა იეჯრო,
იტყვი, ასეა რახან, —
„რაც იყო, ისევ ისა სჯობს
იმას, რაც არის ახლა!“

როგორაც უნდა ფხიზლობდე,
გძინავს, ᲯᲣᲯ კიდევ გძინავს, —
„რაც არის, ის გირწევნოდეს,
რაც სულ არ არის, იმას!“

კოხსვაზე — „ᲕᲘᲜ ᲜᲐᲓ ᲬᲕᲘᲜᲝᲓ?“ —
პასუხს დაეძებ. მისნურს!..
„რაც ხვალ იქნება, არ გინდა,
ᲓᲦᲔ ᲠᲐᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ის ᲒᲣᲜᲣᲠᲗ!“

## ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲘᲡᲘ ᲢᲐᲠᲘᲡᲚᲐᲓ ᲧᲝᲤᲘᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲠᲐᲓ ᲗᲘᲗᲔᲣᲚᲘ

რამ გადამრია ამ ბოლოს
ან ამ ᲒᲚᲯᲚᲝᲗᲐᲜ რას ვეძებ?! —
განწყენილი მაქვს სამშობლო
რუსთველურ ᲕᲔᲤᲮᲘᲡ ტყავებზე!

სხვა რაღა უნდა ვისუროვ,
რა ნაგვიდ ვაუხებ ჩემოდნებს?! —
სულო, სატყვამდე მისულო,
ᲞᲐᲜᲒᲐᲛᲓᲔᲖ ᲛᲘᲒᲣᲮᲡᲔᲑᲗᲝᲓᲔᲑᲓᲔ!

## ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲚᲐᲓᲐ, ᲐᲜᲣ ᲒᲐᲮᲡᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲦᲘᲠᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲘ?..

უსათნოს ᲗᲣᲜᲒᲘᲡ
ᲑᲘᲜᲯᲘᲠ ᲛᲘᲜᲯᲘᲡ-ᲡᲐᲑᲐᲗᲘᲗ, —
სინკალი და ლუფი,
სინკლამდე კი... ᲥᲐᲑᲐᲗᲘ.

სტუდენტური თანხა.
გაძარცული კამოდი.
ᲢᲣᲜᲜᲐᲯᲕᲜᲘᲡᲚᲘ კათხა
ნერწყვი ქაფად გადმოდის.

ო, რა მოგდის, მუხრან,
ან რა ᲕᲣᲧᲝᲗ ამ რიიმებს?! —
მეგობარი თუ ხარ,
ერთი რითმა დამითმე!

რა მოუკლავს ᲒᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ
ალეკოს და ᲒᲝᲗᲝᲜᲔᲚᲘᲡ? —
გაგვითავდა ᲤᲣᲚᲘ,
გაკურონდეთ და გავთავდით!..

ᲕᲘᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲗ ᲡᲐᲐᲗᲘ,
ᲩᲔᲛᲘᲐ თუ სხვისია,
ᲕᲐᲚᲘ ᲒᲕᲠᲩᲑᲐ ᲕᲐᲚᲐᲓ,
ᲗᲣᲠᲘ ᲕᲘᲜ ᲒᲕᲐᲨᲕᲘᲗ ᲜᲘᲡᲜᲐᲓ?

ის საათი ახლაც
იმ მეხინკლის სახლშია!..
ᲕᲐ, რაც იყო!.. მახლაბ!..
არ გვწყვარია, არ გვშია!..

სულ სხვა დროა, ᲕᲐᲢᲧᲝᲗ,
ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ ᲕᲐᲠᲐᲤᲠᲐᲜ,
იმ დროს რატომ ᲕᲜᲐᲮᲠᲝᲗᲝᲗ,
იმ ᲧᲣᲗᲘᲡ როცა ᲛᲔᲕᲜᲐᲢᲠᲐᲜᲗ?

## ᲡᲘᲒᲐᲠᲔᲢᲘ

იგი „ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲛᲝᲠᲘᲡᲘᲡ“ ᲔᲬᲔᲠᲝᲓᲐ
და ᲬᲣᲙᲘᲗᲐᲕᲘᲗ ᲐᲮᲠᲬᲝᲚᲔᲑᲓᲐ
ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡ ᲡᲘᲒᲐᲠᲔᲢᲘ.

მივქარე, —
ერთი ლერი სიგარეტი ᲗᲘᲗᲔᲣᲚᲘ!..
სიგარეტი ᲗᲘᲗᲔᲣᲚᲘ!.. მივქარე!..

ᲬᲘᲠᲤᲐ მაქია და ᲬᲐᲕᲘᲓᲐ!..
ᲐᲮᲚᲐ არაფერი არ მინდა!

იგი ᲒᲖᲐᲡ ადგა,
სულ სხვა ᲪᲘᲡᲤᲠᲘ ᲔᲯᲐᲠᲐ თვალი!..
ისე წავიდა,
მე, როგორც მგზავრს,
არათუ კვალი,
ო, მან უბრალოდ სიგარეტიც არ
დამიტოვა!..

სხვა არაფერი, იგი ᲔᲬᲔᲠᲝᲓᲐ
სიგარეტს!..

დარდიან გულზე
ერთი გაბოლება სიგარეტი
ᲗᲘᲗᲔᲣᲚᲘ
მ ი ვ ქ ა რ ე!

## ᲯᲘᲢᲘ

ალარც ძველი ერწო,
ალარც ᲬᲘᲜᲐ თაᲗᲝ! —
მაინც უნდა ᲫᲔᲠᲬᲝ,
მაინც უნდა ᲔᲮᲐᲗᲝ!

არც ის ძველი ქანდა,
ᲗᲐᲗᲘᲜᲘ და კალო! —
მაინც უნდა ᲫᲔᲠᲩᲐ და
მაინც უნდა ᲗᲝᲜᲐᲚᲝ!

ᲧᲕᲐᲕᲘ, როგორც ᲬᲘᲠᲝ,
ᲬᲘᲚᲘᲚᲘ, როგორც ᲥᲐᲗᲝ! —
მაინც უნდა ᲬᲣᲠᲩᲝ,
მაინც უნდა ᲔᲮᲐᲗᲝ!

## ᲐᲜᲔᲡᲘᲚᲘ ᲕᲔᲜᲐᲜᲘ

ᲬᲣᲛᲑᲔᲚᲘ ᲩᲐᲧᲠᲘᲚ ᲙᲐᲛᲔᲜᲘᲡᲗᲐᲜ
ᲕᲐᲕᲔᲓᲘᲗ ᲗᲣ ᲪᲮᲝᲚᲓᲐᲓ,
როცა ᲕᲔᲜᲐᲜᲘ ᲐᲛᲬᲔᲡᲣᲗ,
ᲒᲝᲠᲐᲡ ᲕᲔᲛᲔᲑᲔᲓᲜᲔᲜ რადგან.

კახეთს ᲕᲐᲜᲘᲡ რქას ᲔᲢᲘᲠᲝᲜᲓᲘᲗ,
ᲥᲐᲠᲗᲚᲔᲚᲘ ᲕᲐᲜᲘᲡ ᲤᲣᲗᲣᲚ ᲕᲔᲠᲩᲘᲗ,
რაც უნდა ᲒᲐᲕᲣᲛᲕᲔᲗ, ᲘᲔᲢᲧᲝᲓᲘᲗ,
მაგრამ ᲕᲔᲠᲫᲘ რა ᲕᲝᲛᲔᲗᲘᲗ რიდით.

ᲐᲕᲐᲛᲫ, ᲨᲐᲛᲘ-ᲐᲮᲣᲯᲔᲑᲡ,
ᲐᲯᲔᲑᲔᲑᲡ, ᲡᲐᲛᲔᲚᲐᲕᲔᲑᲡ, ᲢᲐᲢᲜᲔᲑᲡ! —
ᲛᲝᲜᲗᲝᲕᲔᲗ და ᲗᲐᲛᲘᲗᲣᲠᲘ
და ᲯᲐᲕᲐᲮᲗᲐᲜᲐᲪ ᲓᲐᲕᲗᲘᲗᲘᲡ!..

ᲐᲕᲐᲛᲫ, ᲩᲕᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ
ᲑᲔᲛᲝᲕᲗᲔᲛᲝᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲐᲡ!
ᲪᲮᲠᲐ ᲗᲐᲛᲘᲗᲣᲠᲘᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡ
ᲤᲘᲠᲕᲔᲚᲓᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲕᲔᲠᲩᲔᲜᲐᲡ!

ᲩᲕᲔᲜ კი ᲤᲘᲪ-ᲕᲐᲠᲩᲚᲔᲑᲘᲗ
ᲒᲐᲒᲕᲘᲠᲐᲗ,
რა გაგჰირვება ᲒᲐᲜᲓᲐᲜ,
ᲝᲠᲯᲘᲚ ᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲕᲐᲫᲘᲔᲗ
ᲑᲣᲠᲩᲘᲗ, ᲑᲣᲚᲣᲚᲔᲑᲘ, ᲑᲐᲠᲑᲐᲓᲔᲑᲘ?!.

ᲰᲐᲯ, ᲓᲘᲚᲘᲚᲔᲑᲘ, ᲓᲘᲚᲘᲚᲔᲑᲘ,
რად არ ᲘᲡᲚᲔᲑᲘᲗᲔᲜ, ᲩᲐᲜᲒᲝᲠ?! —
ᲔᲜᲘᲜᲗᲡᲐᲪ კარგად მიგირთმევთ,
ᲡᲐᲓᲔᲒᲠᲔᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲗᲐᲛᲘᲗᲝᲗ!

## ᲡᲣᲛᲠᲝᲑᲐ

ᲕᲣᲗᲐᲛᲓᲘᲗ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘᲗ,
ᲗᲕᲐᲛᲓᲘᲗ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘᲗ ᲒᲝᲜᲘᲗᲔᲠ, —
ᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲩᲝᲛ არ ᲕᲗᲕᲐᲛᲓᲘᲗ,
ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝ ᲩᲝᲛ არ მოვიდა??

არც რას ᲕᲜᲐᲮᲠᲝᲗ, არც მსურდა
ის ᲔᲓᲐᲠᲐᲜ ამ ᲓᲠᲐᲜᲐᲜ, —
ᲬᲕᲘᲛᲐ ᲩᲝᲛ არ დასრულდა,
ᲥᲐᲠᲘᲐ ᲩᲝᲛ არ ᲩᲐᲛᲔᲓᲒᲐᲠᲐ?

ᲛᲔᲜᲡ ᲛᲔᲓᲚ არ დავმდურო,
ᲛᲔᲓᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲛᲐᲠᲗᲝᲗ! —
კᲔᲓᲘᲐᲜᲘ, მე უმედურო,
ᲩᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ თქვა სიმართლე??

ᲘᲚᲘᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ Ж. ᲚᲝᲠᲚᲣᲔᲚᲘ

ᲜᲐᲮ. Ვ. ᲙᲣᲪᲘᲐᲜᲘ

ᲓᲐᲛᲪᲔᲛᲔᲑᲘ

## ᲐᲜᲓᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲖᲔ

- ᲐᲡᲯᲘᲠ გაზომე და ერთხელ გამუქერიო... და ხშირად ვზომავთ და ვზომავთ დაუსრულებლად.
- ᲐᲩᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ სოფელი არავის მოუკამაიო... და გამოჯეკილი მეკალიც აუჩქარებლად ჭამს.
- ᲓᲐᲛᲖᲐᲕᲔᲑᲔᲚᲡ მეტი მოხდებაო... და მომრავლდნენ სეირის მაყურებლები.
- ᲖᲝᲒᲯᲘᲠ ბრძენიც შეცდებაო... და იქნებ ჩვენი ზოგიერთი შეცდომის მიზეზიც ეგ არისო.
- თᲕᲐᲚᲘ სვამს და თვალი ეკმსო... და შურიანმა მეზობლებმა ერთმანეთი დაკმეს.
- ᲤᲐᲠᲗᲝᲮᲚᲐ კაცი ᲥᲐᲛᲐᲨᲘᲡᲐᲠᲐᲚᲘᲐო... და ხალხმრავალ წვეულებებს ბოლო არ უჩანს.

ᲐᲙᲝᲚᲝᲜᲘ

## ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲘ

* * *

— ᲡᲐᲮᲔᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲜᲘᲗ ᲐᲠᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲑᲘᲠᲐ. ᲮᲝᲗ ᲕᲐᲠ ᲛᲔᲫᲘᲒᲕᲔᲜ, ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲔᲡ?
— რატომაც არა! იქ, სადაც ორი წერტილია საჭირო, ერთი უსმარია ალბათ!

— თქვენი შვილი შაარგალეიდან კითხულობდა!
— კითხულობდა? ეგ საიერეკი, ᲬᲘᲜᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲯᲕᲔᲚᲘ, ᲛᲐᲜᲘᲜᲯᲘ ᲔᲜᲘᲜᲯᲐᲚ!

ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲯᲐᲯᲐᲜᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ



ᲜᲐᲮ. Ო. ᲫᲔᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲫᲔ

ᲙᲐᲢᲐᲙᲣᲚᲢᲘᲠᲔᲑᲐ

## დამატებითი ცნობები ზოგიერთი ჩემი ლიტერატურული გმირის შესახებ

### ნერილი მეორე

**მართლაც** დიდი შრომა მართებს მწერალს პერსონაჟის ენობრივი ქსოვილის დახვეწაზე, სტილის გამომუშავებაზე. შემოქმედი ყოველთვის ცდილობს თავისი გმირი სწორად მეტყველებდეს, ჰქონდეს მდიდარი სასაუბრო ლექსიკა, ფრაზეოლოგია. ენა ხომ პერსონაჟისათვის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება არ არის. იგი უპირველესად აზროვნების ფენომენია.

მოყოლებული ლურსმული დამწერლობიდან დღემდე, გმირი იმით ფასდება, თუ როგორ მეტყველებს, როგორ ფლობს იმ ენას, რომელზედაც იქმნება ნაწარმოები.

მე, როგორც მწერალი, ყოველ ღონეს ვხმარობ იმისთვის, რომ ჩემი გმირი სწორად და გამართულად მეტყველებდეს, სათქმელს ყოველთვის ზუსტ ენობრივ შესატყვისს უძებნიდეს. ამიტომ ყოველთვის ძიების პროცესში ვარ.

ბევრი მივლია მე, როგორც მწერალს, ჩვენი ქვეყნის მთასა და ბარში, უბის წიგნაკით ხელში. მდიდარი ხალხური ენის წიაღიდან სამზეოზე გამომიტანია მრავალი მარგალიტი — სიტყვა იქნება ეს თუ ფიგურალური თქმა, ანდაზა თუ თქმულება... გამიტარებია ამა თუ იმ პერსონაჟის საშუალებით ისინი ჩემს შემოქმედებით ქურაში და ისევ ხალხისთვის დამიბრუნებია. შორს წაგვიყვანდა იმ ფრთიან თქმათა აქ მოხმობა, რომლებიც მარტო თ. სახოკიას „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა“ ლექსიკონიდან ამოვიწერე ერთ ზაფხულს ზემო კაჟონაში. არას ვამბობ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“ ამოკრეფილ მასალაზე...

აი, ასე ვმუშაობ მე ჩემი პერსონაჟის ენაზე. აი, ასე ვევლები თავს მის ყოველ წინადადებას, ფრაზას, სიტყვას, მარცვალს... კიდევ ვიმეორებ, ყოველთვის ვცდილობ, სათქმელს მოვუძებნო ზუსტი ენობრივი შესატყვისი და წინადადება არ ვაქციო ბგერათა კომპლექსისგან შემდგარ სინტაქსურ ერთეულად.

ამ გზით შექმნილ ერთ-ერთ გმირზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, ძვირფასო მკითხველო. იმ გმირზე, რომელზედაც წლების განმავლობაში მიღვაწია, რომ იტყვიან კალამი გამიცვეთია. ეს გამოთქმა „განმარტებითი ლექსიკონიდან“ ამოვიწერე (გვ. 543) სოფ. ვანიაურში. ბუნებასაც უხვად მოუმადლებია მისთვის ნიჭი და უნარი. როგორც დაგვალული მიწა წყალს, ისე ისრუტავდა ჩემს ყოველ სიტყვას იგი. წინადადება დამთავრებული არ მქონდა და ის უკვე სათქმელს ამბობდა. ის კი არა, ბოლო ხანებში, პირს გავაღებდი თუ არა, უკვე იცოდა, რისი თქმა მსურდა... მუშაობაც მიადვილდებოდა მასთან, პერსონაჟებთან დიალოგში ზოგჯერ თვითონ გამოვუყვანივარ გამოუვალი მდგომარეობიდან. რამდენჯერ განუმუხტავს კიდეც დაძაბული სიტუაცია... სმენას ატკბობდა მისი მეტყველება. თაფლი ეღვრებოდა პირიდან. შინაარსით იყო დატვირთული მისი ყოველი სიტყვა, წინადადება თუ წინადადების ყოველი წევრი, ქვემდებარე იქნება ეს, შემასმენელი, ზმნიზედა თუ ადგილის გარემოება... აზრი, აზრი იდო ყოველ მის სიტყვაში...

აი, ასე გამოვუმუშავე მას მეტყველების, ქცევის, ჩაცმა-დახურვის საკუთარი სტილი და როგორც ყოველმხრივ მომზადებული ახალგაზრდა კაცი დავნიშნე ერთ-ერთ საწარმოს ხელმძღვანელად (გვ. 201).

განვაგრძე ნაწარმოების მომდევნო თავზე მუშაობა. კვლავ ჩემეული ოსტატობით ვძერწავდი გმირთა სახეებს. ვხსნიდი ხასიათებს, ვხატავდი ლამაზ პეიზაჟებს... და ამასობაში ერთი წელიც გასულა. ჩემს გმირს ანგარიში უნდა ჩაებარებინა თავისი კოლექტივისთვის. საანგარიშო მოხსენებას მე ხომ არ დავუწერდი?! აბა, რა ვიცოდი, ერთი წლის განმავლობაში რა გააკეთა და რის გაკეთებას აპირებდა შემდგომში?!. პირდაპირ კრებაზე მივედი.

**— ამხანაგებო! საანგარიშო პერიოდში ჩვენმა კოლექტივმა დიდ წარმატებებს მიაღწია! (ტაში). დიდ წარმატებებს მიაღწია საანგარიშო პერიოდში ჩვენმა კოლექტივმა! (ტაში). მიაღწია დიდ წარმატებებს საანგარიშო პერიოდში ჩვენმა კოლექტივმა! (ტაში). წარმატებებს დიდს მიაღწია პერიოდში საანგარიშოში კოლექტივმა ჩვენმა! (ტაში). მაგრამ ჩვენ გვქონდა ნაკლიც! (ტაში). ჩვენ გვქონდა მაგრამ ნაკლიც! (ტაში). ნაკლიც ჩვენ გვქონდა მაგრამ! (ტაში). ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ კოლექტივი მოწინავეთა შორის იყოს! (ტაში). ჩვენი კოლექტივი რომ მოწინავეთა შორის იყოს, ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის! (ტაში). ვიღონებთ იმისათვის ყველაფერს, რომ კოლექტივი ჩვენი იყოს მოწინავეთა შორის! (ტაში). შორის მოწინავეთა რომ კოლექტივი იყოს ჩვენი ყველაფერს ვიღონებთ! (ტაში). რომ შორის მოწინავეთა იყოს ჩვენი კოლექტივი, ვიღონებთ ყველაფერს! (ტაში). კოლექტივი ჩვენი რომ იყოს მოწინავეთა შორის, ჩვენ ვიღონებთ ყველაფერს! (ტაში). არ იქნება ჩვენს გვერდით არც ერთი ჩამორჩენილი! (ტაში). არც ერთი ჩამორჩენილი არ იქნება ჩვენს გვერდით! (ტაში). ჩვენს გვერდით არ იქნება არც ერთი ჩამორჩენილი! (ტაში). ჩამორჩენილი არ იქნება ჩვენს გვერდით არც ერთი! (ტაში). გვერდით ჩვენს ჩამორჩენილი არ იქნება არც ერთი! (ტაში). ერთიორად გავაუმჯობესებთ წარმოების ხარისხს! (ტაში). ხარისხს წარმოებისას გავაუმჯობესებთ ერთიორად! (ტაში). წარმოების ხარისხს ერთიორად გავაუმჯობესებთ! (ტაში). ხარისხს ერთიორად წარმოებისას გავაუმჯობესებთ! (ტაში). ხარისხთან ერთად ვიბრძოლებთ პროდუქციის ეფექტიანობისათვის! (ტაში). პროდუქციის ეფექტიანობისთვის ვიბრძოლებთ ხარისხთან ერთად! (ტაში). ვიბრძოლებთ ეფექტიანობისთვის პროდუქციისა, ერთად ხარისხთან! (ტაში). ერთად ხარისხთან პროდუქციის ეფექტიანობისათვის ვიბრძოლებთ! (ტაში). ავიღებთ გადიდებულ გეგმა-ვალდებულებას! (ტაში). გეგმა-ვალდებულებას გადიდებულს ავიღებთ! (ტაში). გადიდებულს ავიღებთ გეგმა-ვალდებულებას! (ტაში). პირობას ვდებთ, ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იქნება! (ტაში). ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იქნება, პირობას ვდებთ! (ტაში). ვდებთ პირობას, ერთი იქნება საქმე და სიტყვა ჩვენი! (ტაში). საქმე და სიტყვა ერთი იქნება ჩვენი, ვდებთ პირობას! (ტაში). მუდამ მოწინავეთა შორის ვიქნებით! (ტაში). ვიქნებით მუდამ მოწინავეთა შორის! (ტაში). შორის ვიქნებით მუდამ მოწინავეთა! (ტაში).**

ეს რა მოისმინეს ჩემმა ყურებმა! ნეტავ სულ არ მივსულიყავი იმ კრებაზე! რა ამაოდ “გავრჯილვარ!..

**ნოდარ ბართაია**

### მინიინტერვიუ

— სამსონიჩ, ლოთობის წინააღმდეგ რა ზომებს ღებულობთ სამსახურში?

— კაბინეტში საწოლები დავდგით!

* * *

— ის თავდამსხმელი ასე უხეშად რატომ წააქციეს?

— მაყურებელთა ნერვებზე თამაშობდა!

* * *

— დედიკო, სამზარეულოს გასალესად რომ ხელოსნებს ვეძებდით, მიხო ძიაზე უკეთესი სპეციალისტი ვინ არის?!

— შენ საიდან იცი, შვილო?!

— როგორ?! შენ არ თქვი, ათი წელი ციხის კედლები ლესაო?!

* * *

— ეს ავტობუსი „აფხაზეთს“ გაივლის?

— შენ რა, ხუთკაპიკიანი ბილეთით გინდა აფხაზეთში ჩახვიდე?!

მოისმინა მზია მებაღიშვილმა



ნახ. ბ. ზუბაშვილისა

## დაჯავშნული ერთეული

## საქმე შერჩა თავის თავს!..

გამობრძანდა ტიკტიკა,
ბრძნულად ჩაგვაკრიტიკა,
თავის თავსაც გადასწვდა,
„მტრულად“ ჩაუკრიტდა...

ალალ კაცის იმედი
უმალ გამოიკვირტა,
სხვებსაც შემოუძახეს,
გვიშველისო კრიტიკა!

მაგრამ მალე კამათი
იქცა კოხტა მიტინგად,
შერჩა საქმე თავის თავს,
კრიტიკა კი — კრიტიკას!..

ჯანრი გოგეშვილი

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

## ესიტყვად

## მინიმინიატიურები

**„მონადირე“ რევიზორის ნივილი:** — ჩავედი, ამავსეს. ჩამოვედი, დამავსეს!

**საქმოსნის ეპიტაფია:** „ჭამდა, ინელებდა და ჭამამ მოინელა“.

**მეგობრები** ერთი ზუთხის ქონმა დაახრჩო, მეორე — საკუთარმა.

**ყალბისმქნელის აღსარება:** — პაერის კოშკებს ვაგებდი და ამით ვიგებდი, მაგრამ გამიგეს და ანდერძი ამიგეს.

**პროტექცია:** — გუშინ სკოლაში არ ვიყავი, მაგრამ მასწავლებელს მაინც გამოვუძახებივარ და ხუთიანიც დაუწერია.

ა. ბასილაშვილი



ნახ. ნ. ხოდელისა

## ესიტყვად

## „სვეტები“

სამმა „სვეტუნიამ“ —
ლენამ, ლალიმ და ლიამ —
ორი ბოთლი „კონო“ და
ორი „შამპო“ დალია.
„შოკოც“ დაშოკილებმა
მიაყოლეს თან ბოლოს,
მერე ჩართეს „მაგნიტო“,
გააბოლეს „მარლბორო“.
დილით ისევ შეუდგნენ
„შუსტრად“ სმას და წევასა,
„გოიმური“ ლუდი და
„ვობლა“ აღარ „ევასათ“.
ლიამ „პონტი“ ააგდო: —
მინდა, ვნახო ბესოო,
თქვენთან „სტოპრო მიტყდება“,
უნდა „ავითესოო“!
ლენამ უთხრა: — „იტოგში“
ჩვენ აქ რაღა გვეთქმისო,
წადი, სიმონ, თუ გაწყობს,
იბლატავე შენთვისო!

ვანო ცინცაძე



ნახ. მ. აბაშიძისა

— ამან დაგვიბარა, ხელფასის დარიგებისას გამალვიძეთო!

ნახ. ზ. ფიტრჩხიძისა

— რა დიაგნოზია?
— უშრომელი მუცლის ანთება აქვს!..



ნახ. მ. აბაშიძისა

— აწი ხომ ველარ გვეტყვიან, თბომეურნეობის მუშაკები ზამთარს მოუმზადებლები ხვდებითო?!

# ოთხი დამყავდა მამაჩემი საბავშვო ბაღში

**იუმორესკა**

ზუსტად ხუთი წელიწადია მას აქეთ, მამაჩემი რომ დამყავდა საბავშვო ბაღში. თუ ღრმად ჩავუკვირდებით, არც ისე ცოტაა ხუთი წელიწადი: ხუთი წლის ყმაწვილი კიდევ ხუთი წლის შემდეგ, ჩემი გამოანგარიშებით, ათისა იქნება უკვე და აღარც გასაკვირია, მესამე კლასში იყოს, თანაც წერა-კითხვაც იცოდეს. თუმცა არც ჩემი ხნის კაცისთვისაა ცოტა — ხომ შეიძლება ამ ხნის მანძილზე ველოსიპედი გამოიგონო, ან პირსაპარსი მოიგო ლატარიაში, ან ყარაულობიდან გამგის მოადგილედ დაგაწინაურონ, ანდა სულაც გამოგაპანღურონ პროფკავშირის დაუკითხავად? შენ ხუთი უძახე!..

ჰოდა, იმას მოგახსენებდით: ხან მე ვაღვიძებ მამაჩემს, ხან ის მაღვიძებს; რაკი დილდილაობით წყლის მომჭირნეობის გრაფიკს იცავენ, ერთმანეთს ვაბანინებთ ხელ-პირს. ასეთი სიამტკბილობა არ გვქონდეს, სხვა რაღაა მამაშვილობა?! დედაჩემი ამ დროს მთელი სამი საათის წასულია სამსახურში — მეეზოეების ბრიგადირია და დროით უნდა მიგავ-მოგავოს ქუჩები, თორემ ჩაცმულ-დახურული ხალხი რომ გაუდგება ხელფასის გზას, ნამეტანი უხერხული მგონია, მაშინ დააყენოს მტვრის კორიანტელი.

მომყვება მამაჩემი საბავშვო ბაღში, მობუზღუნობს!.. ჰო, ჰო, ჰო, რა ესიკვდილება წამოსვლა! ვერ ვიტან ბუზღუნს, მაგრამ მამაა და რას უზამ? მამა არ იყოს და ხათრი არ მქონდეს დედაჩემის, ჩემი გათხოვილი ინჟინერი დისა და ლუდის გამყიდველი სიძის, ზედაც ნათესავ-მეზობლებისა, ისეთ დღეში ჩავაგდებდი, ბაღდადიდან ბუზი მოვიდოდა სანახავად.

შინ რომ ვბრუნდებით საღამოთი, თქვენ მაშინ უნდა ნახოთ მამაჩემის ბუზღუნი: დილით ჩაი, ლეილას — ფაფა, უკაცრავად, მზიას — ფაფა, ია მანანის ფაფა ან წიწიბურასი, აბაზიანის ზომა-წონის კარაქითა და კიდევ არაფერით; შუადღისას უხორცო ბორში, ჩახოხბილი, ან გუფთა, მერე ხილის წვენი, ან ერთი ვაშლი, ან ორი ატამი, ანდა სამი ქლიავიო; საღამოთი: ხაჭოს ნამცხვარი, ან ჭიქა რძე, ანდა იმდენივე მაწონიო; აბა, შვილო, ჩემი მადის პატრონს ეს ეყოფაო? ხილად აიტანს კაცი, მაგრამ ყოველდღე ერთი და იგივე როგორი ასატანიაო? ისეთ საყვედურს ამბობს, ყური რომ მოჰკრას ვინმემ, იფიქრებს, ფულს ახდევინებენ, თანაც ჩვენი რესტორან-სასადილოების ზნე-ჩვეულების ყაიდაზეო. არა, უფროსობასთან დაგსვამ და იმათ სადილ-ვახშამს მოგართმევ-მეთქი! რატო, შვილო, მაწყენს თუ იმათზე ნაკლები ვარ რითიმეო? ეგე, თუ არა ხარ-მეთქი!

რა აღარ გადაუტანია მამაჩემს: ყბაყურა, ბატონები (სახადიც და ნატურალურიც), პირქვე მუწუკი, ჯიბლიბო, თავისი ძვირფასი მშობლების მიქელ-გაბრიელის სამფლობელოში დაბინავება, სიდედრ-სიმამრის გაცილება მაბზე, ბაზარზე სიარული, არადა, ისე კი მოაქვს თავი, კვების მრეწველობის სახელგანოქმული სპეციალისტის, ან განსვენებული პროფესორის ლუარსაბ თათქარიძის შვილობილი გეგონებათ.

კინაღამ დამავიწყდა: ომი რომ დაიწყო, საზღვართან მოატანეს მამაჩემს. იქიდან მოყოლებული, სტალინგრადამდე, სულ უკან-უკან იხევდა. მერე აქედან სულ წინ-წინ მირბოდა და მიარბენინებდა გერმანელებს. ა ეგრე რომ გაპყვა, ვარშავა გინდა, ბუდაპეშტი, პრაღა, ბერლინი — ნახევარი ევროპა გადაიარა, რა აღარ ნახა, თან იმასა ჩივის, ორჯერ დავიჭერიო. ბრძოლითა და ფეხით გაიარა ამოდენა გზა და უარესიც დამართოდა, რა გასაკვირია! მერე ევლო საბავშვო ბაღში, არ უნდოდა?

სადილობის შემდეგ ისე გაბრაზდება ხოლმე, მამაჩემიც რომ არ იყოს, მაინც შემეცოდება: დალოცვილო, თუ ომია და პოსტზე ვდგავარ, ან სათამაშოების მაღაზიას ვყარაულობ, ანდა კიდევ აგურის ქარხანას, წესია და არ უნდა დავიძინოო! მაგრამ სადაური ქართულია, არ გეძინებოდეს და გიბრძანონ — დაიძინეო?! მე, მაგალითად, არ შეძინება და არც დავიძინებო! შენ თუ არ გეძინება, სხვა მაინც დააძინე-მეთქი. ღვთის წინაშე, საბავშვო ბაღში არაფრით არ იძინებდა შუადღისას და აკი წონაშიც დაიკლო.

გაიღვიძებდნენ ბალღები და მერე დაასკდებოდა ხოლმე მამაჩემს ჭირის ოფლი: ეს რა გადაგვარებული ვინმეები არიან, ღმერთო, ნეტა საიდან მოვიდნენ და საით მიდიანო? შენც იყავი ბატარა, მაგრამ ამათთანა გაუგებარი რაღაც არ მახსოვხარო! მარტო ის მახსოვს, ერთხელ კუდი რომ დააჭერი კნუტს, ორჯერ ჩაწოწილავებული კვერცხები რომ დაუმტვრიე კრუხს, სამ დღეში კიდევ ზუსტად სამჯერ ჩხუბობდი და სამჯერვე შენ ილახებოდიო... ეგეთი დამთხვეული ბალღები, შვილო, ეგეთიო?! ამას წინათ თუშური ქუდი ამასხლიტეს, მერე ის ქუდი შენს უფროსს დავუნახე კინკრიხოზეო.

ეს კი ნამდვილად ტყუილი თქვა! ჩემს უფროსს ბარე ორი თუშური ქუდი აქვს, ძალიან უყვარსო და — დაბადების დღეზე მიუსაჩუქრებენ ხოლმე წელიწადში ორჯერ: ძველითა და ახალი სტილით.

მოკლედ, ორი კვირა დამყავდა მამაჩემი საბავშვო ბაღში. დურგალია და, რაც დალეწილი სკამები იყო, ჩამტვრეული იატაკი თუ ფანჯრის ბაზო-ჩარჩოები, სულ გააახლა, თანაც ის მასალა შინიდან მოგვქონდა; სხვა გზა არ იყო, რაკი უფროსმა მიიხედ-მოიხედა და მითხრა, საამისო თანხა არ გვაქვს, მომმარაგებლად იმიტომ დაგნიშნე, ყველაფერს შენ უნდა მიხედო, რაღა თქმა უნდა, საზოგადოებრივ საწყისებზეო, მივხედე.

**კარლო კობერიძე**



ნახ. შ. კუციასი

**მძიმე**

## გზას ვამგზავრებთ, თორემ რა გზაა?!.

**ძმაო** ნიანგო! გზა კი ვითომ გზაა, — ფეხსაც ააცილებს კაცი ფეხსა, მაგრამ რა გინდა? — ველარა გზობს ოცდახუთი წლის წინ გაყვანილი შარაგზა! გორამდე არმისული, სოფელ ტირძნისთან რომ გადაუხვევ, სამიოდე კილომეტრზე ჩვენი სახელოვანი მწერლის ნიკოლომოურის სახლ-მუზეუმია, მანამდე კი სულ სამი სოფელი უნდა გაიარო — დიცი, ქორდი და არბი. მაგრამ საქმეც ეგ არის, რომ თუ გაივლი!.. სტატისტიკური მონაცემებით აღარ შეგაწყენ თავს, თუ რამდენმა მოიტეხა ამ ოღრო-ჩოღრო, ჩანაქცევ და ნაღრანტევ გზაზე ხელ-ფეხი და რამდენმა კისერი! ამიტომაა, რომ ქართლის გულში მოქცეული სამი სოფლის მცხოვრებნი ლამის მოწყვეტილნი ვართ გარესამყაროს! იქნებ შენ გვიშველო, მოგვაწვდინო შენი მადლიანი ხმა! იქნებ ყურად იღონ ეს ხმა ამ გზის მესვეურებმა და აქეთ გამოსწიონ სანახავად და დასარწმუნებლად! მართალია, ჩვენამდე ვერ ამოაღწევენ, მაგრამ ნაშარაგზევის დასაწყისშივე მიხვდებიან, რა დღეშიცა ვართ! — სამ სოფელს სამი კილომეტრი გზა კი ეკუთვნის, გულახდილად რომ თქვას კაცმა!..

გვიშველე, სანამ სულ დავსახიჩრდებით და გავხეიბრდებით!

**დიცის, ქორდისა და არბის მცხოვრებნი**

ნახ. ი. ყეინაშვილისა

უსიტყვოდ

# ბატონი-160

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იუმორესკა

**ქალაქის** სპორტსასამართლო დარბაზში ხალხმრავლობა იყო. ახლად დამზადებულ ტანსაცმელ-ფეხსაცმლისა და სხვა ნაკეთობათა გროვის კენწ-როზე, რომელზედაც სამსაფეხურიანი საპატიო კვარ-ცხლბეკი მოეწყოთ, იდგნენ ერთ-ერთი საწარმოს დირექტორი **ფუჩეჩ მეჯღანია**, მთავარი ინჟინერი **სტანდარტ ამრევიშვილი** და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი **ზერელ უსულგულოვი**, რომ-ლებმაც უხარისხო პროდუქციის გამოშვების კონკურს-ში პირველი, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

ჯილდოების გადაცემამდე შესავალი სიტყვა წარ-მოსთქვა რაიონის პროკურორმა, იურიდიულ მეც-ნიერებათა დამსახურებულმა ოსტატმა **გული მავი-წყაურმა:**

— ხალხნო და ჯამაათნო! ნება მიბოძეთ, გამოვთქვა მა-დლიერების გრძნობა ამ მშვენიერ ადამიანთა მიმართ, რომლებიც ასე გატრუნულნი მორცხვად დგანან საპატიო პოსტამენტზე. სწორედ, მაგათ შნოსა და მა-რიფათს უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს, როგორც იქნა ჩვენს იურისპრუდენციაში ამოქმედდა სისხლის სამართლის კოდე-ქსის ასმესამოცე მუხლი, რომელიც ხსნის კოდექსის მეექვსე თავს ეგრეთ წოდებული სამეურნეო დანაშაულის შესახებ. დააკვირდით, მეგობრებო! — ესენი არა მარტო წუნის მკეთებლები არიან, არამედ დიდი არქეოლოგებიც, რომლებმაც წარმატებით განახორციელეს გათხრები საკანონმდებლო წიგნებში და აღმოაჩინეს არცთუ ისე ძველი, მაგრამ ფასდაუდებელი ტექსტი, რომელიც შემდეგს მეტყვე-ლებს: „**უხარისხო, დადგენილ სტანდარტებთან, ან ტექნიკურ პირობებ-თან შეუსაბამო, ან უკომპლექტო პროდუქციის არაერთგზისი, ან დიდი ოდენობით გამოშვება საწარმოდან დირექტორის, მთავარი ინჟინრის ან ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მიერ, აგრეთვე სხვა მუშაკთა მიერ, რომლებიც აღნიშნულ თანამდებობის პირთა მოვალეობებს ასრულებენ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით სამას მანეთამდე, ან თანამდებობიდან დათხოვნით**“.

ახლა მითხარით, ხომ იმსახურებენ დაჯილდოებას ეს პირველი მერცხლები, რომლებმაც საუკეთესო ნედლეული რაღაც ფანტასტი-კური გარეგნობის პროდუქციად აქციეს, რომლის დანახვისთანავე მომხმარებლის ფსიქიკურ-ნერვულ სისტემაში სასწაულებრივი ცვლი-ლებები ხდებოდა?!

— იმსახურებენ! — ერთხმად იგრიალა დარბაზმა.

— უფრო მეტიც! — წამოიძახა ერთმა დამსწრემ, — ახლავე უნდა გახადოთ მათ იმპორტული ტანსაცმელი, რომელშიც ძალიან უნერ-ხულად გრძნობენ თავს, და წახალისების მიზნით ჩააცვათ თავიანთი დამზადებული პროდუქცია!

აქეთ-იქიდან კიდევ წამოისროლეს რაღაც რეპლიკები, მოითხოვეს მათი ღირსებისამებრ „**დაჯილდოება**“. დაბოლოს, მოსამართლე **ლი-ბერალ მინიმუმაძემ** წუნდებული პროდუქციის გამოშვების კონკურს-ში გამარჯვებულებს ისეთი ჯილდოები ჩამოურიგა, რომელთა მიღე-ბის შემდეგ ჩემპიონები სახეგაბადრულნი გავიდნენ დარბაზიდან და კვლავ უშიშრად და აქტიურად ჩაებნენ კონკურსში დევიზით — „**ბატონი-160**“.

**კამო შარმაზიანი**

# საღამოჯერი

დარდს გულიდან ამოღება უნდა (ასე აჯობებს!),
ჩვენ ერთი დიდი საკითხი ძალიან გვაშფოთებს:
მართლაც, მზეთუნახავები გვყვანან სამსახურში,
საქმროებისაგან კი ჩინური კედელი გვაშორებს!
ერთ მშვენიერ დღეს დავაყენეთ საკითხი ასე:
არა, არ შეიძლება ამ საქმის დატოვება,
სანამ ცა დაიწყებს მიწის თეთრად დათოვებას,
უნდა დავაგვირგვინოთ ამათი გათხოვება!
ერთმა თქვა: „დამშვიდდით, ამხანაგებო! რა მოხდა?
ბედი თავისთავად მოვა, ოღონდ დაიცადეთ!“
„რას ამბობ, რასა?! — ავღელდი, — დრო არი დაცდისა?!
გოგო-ბიჭები როდისღა უნდა დაიზარდონ?!“
„კარგი და, რა შეუძლიათ ქნან ამ გოგოებმა,
თუკი ვაჟების ხელშია აღვირი ბედისა,
თუკი იმათ არ უნდათ ოჯახის უღლის დადგმა,
თუკი იმათი მოწადინება არ გვეღირსა?!“
წუთისოფელი ძალიან გრძელი ხომ არ გგონიათ
ამ უცოლო ვაჟებს?! რა ღმერთი გიწყრებათ?!
ერთი ოციოდე დამთქნარება და
ეგ არი, ჩემო შვილებო, სიბერეც იწყება!
შეიძლება, ოჯახის ტვირთისა გეშინიათ,
არ გინდათ, თქვენი წილი ტვირთი ზურგით დაგქონდეთ?
აბა, ერთი ბერბიჭა-ბერიკაცი მაჩვენეთ,
თავისი ცხოვრება სანანებლად რომ არ ჰქონდეს?
რამდენი რამ გვიამბია ჩვენი წარსულიდან,
თქვენ მაინც, როგორც ჩანს, არაფერმა აგაჩქარათ!
მახსოვს, როცა მე და ჩემი კაცი დავქორწინდით,
ერთი ხელი ლოგინისა, ორი თეფშისა და
ორი კოვზის გარდა არა გაგვაჩნდა რა!..
გაგვიანდებათ, შვილებო! ყველაფერს თავისი დრო აქვს,
დაცოლშვილების წლებსაც თავისი მიჯნები აქვს!
აქეთ თქვენ გეცლებათ ხელიდან ახალგაზრდობა,
იქით ვარდებივით გოგოები გვიჭკნებიან!..
აბა, გადაწყვიტეთ, შვილებო! თქვენგან მოველით
ოჯახის, ერის გახარებას და დამშვენებას!
არამც და არამც — უფერულად ცხოვრების გავლა!
არამც და არამც — უშვილძიროდ გადაშენება!
ასეა, ჩემო კარგებო, დაკანონებული:
ერის გრდემლსა და კვერს ახალგაზრდობა ავარვარებს!
აბა, თქვენ შემოგევლეთ თავს, ცეცხლივით აენთეთო
ელო ბებოსა და ნიკო პაპას ვინ დაავალებს?!
... თქვენ რომ ამ წელს ქორწინება მიზნად დაისახოთ,
ჩვენ რომ მერშის ამ დროს ცოლ-შვილში დაგინახოთ,
რას ამბობთ, კაცო, რამხელა ბედნიერებაა,
შენმა სისხლმა და ხორცმა რომ მამა დაგიძახოს!..

**ლალი მარტაშვილი**

ნახ. მ. აბაშიძისა

ძია სემის გზა ვარსკვლავთ პოლიგონისაკენ


**სატირისა და იუმორის**
ჟურნალ „ნიანგის" № 20 (1726), ოქტომბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
**ზაურ ბოლქვაძე**

სარედაქციო კოლეგია:

**ავთანდილ ადეიშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ - რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე,** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი
**ირაკლი დუნდუა**

●

გადაეცა ასაწყობად 23. 09. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 10. 86 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 2189 უე 14680 ტირაჟი 143.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.**

**ტელეფონები:** მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ინდექსი 76137
ფასი 20 კაპ.



№ 694
4/XI 1986
КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ